

წ ე ს დ ე ბ ა

პროგრედიტ ბანკი

დამტკიცებულია 2020 წლის 21 მაისის
აქციონერთა კრების მიერ

თბილისი, საქართველო

2020

სარჩევი

- ნაწილი I. ბანკის სახელწოდება, სათავე ოფისი და მიზანი
- ნაწილი II. საკუთარი კაპიტალი და აქციები
- II.1. საკუთარი კაპიტალი
 - II.2. აქციათა სახე და საწესდებო კაპიტალი
 - II.3. საწესდებო კაპიტალის ზრდა
- ნაწილი III. აქციონერების უფლებები და ვალდებულებები
- III.1. ზოგადი ნაწილი
 - III.2. მოგება/ზარალის განაწილება, რეზერვები
 - III.3. მოგების განაწილების კრიტერიუმები
- ნაწილი IV. ბანკისათვის ნებადართული საქმიანობის სფერო
- ნაწილი V. ბანკის ორგანოები
- V.1. ზოგადი ნაწილი
 - V.2. აქციონერთა საერთო კრება
 - V.3. აქციონერთა საერთო კრების რიგითი სხდომა
 - V.4. აქციონერთა საერთო კრების რიგგარეშე სხდომა
 - V.5. სამეთვალყურეო საბჭო
 - V.6. აუდიტის კომიტეტი
 - V.7. დირექტორთა საბჭო
- ნაწილი VI. ბანკის წარმომადგენლობა
- ნაწილი VII. დასკვნითი დებულებები

წესდება პროკრედიტ ბანკი

ნაწილი I

ბანკის სახელწოდება, სათავო ოფისი და მიზანი

მუხლი 1

1. სს „პროკრედიტ ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) სააქციო საზოგადოება, დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სრული საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით.
2. ბანკი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ხელმძღვანელობს წინამდებარე წესდებით, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით (მისი ცვლილებებისა და დამატებების ჩათვლით), მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით (მისი ცვლილებებისა და დამატებების ჩათვლით) და სხვა შესაბამისი კანონებითა და ინსტრუქციებით, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით.

მუხლი 2

ბანკი ბიზნეს ოპერაციებს წარმართავს სს „პროკრედიტ ბანკის“ სახელწოდებით. ბანკის იურიდიული მისამართია: 0160 თბილისი, საქართველო ალ. ყაზბეგის გამზირი № 21.

ნაწილი II

საკუთარი კაპიტალი და აქციები

II.1 საკუთარი კაპიტალი

მუხლი 3

წესდების მე-6 მუხლის შესაბამისად განხორციელებული აქციონერების ფულადი შენატანები წარმოადგენს ბანკის განადგებულ სააქციო კაპიტალს. ბანკის საკუთარი კაპიტალი შედგება სააქციო კაპიტალის განადგებული ნაწილისგან, სავალდებულო და ნებაყოფლობითი რეზერვებისგან და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

მუხლი 4

ბანკის განადგებულ სააქციო კაპიტალი შესაძლოა გაიზარდოს და აღემატებოდეს მე-5 მუხელში მითითებულ ოდენობას (i) მე-7 მუხლის შესაბამისად, აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელისთვისაც აუცილებელია საერთო კრების აქციონერთა ხმების ორი მესამედი, ახალი აქციების გამოშვების, ნებაყოფლობითი რეზერვების ან გაუნაწილებელი მოგების სააქციო კაპიტალად გარდაქმნის საფუძველზე ან (ii) ნებადართული კაპიტალიდან, თუ არსებობს ასეთი, ახალი კაპიტალის ზრდის მეშვეობით აქციების გამოშვების საფუძველზე.

II.2 აქციათა სახე და საწესდებო კაპიტალი

მუხლი 5

1. ბანკის სააქციო კაპიტალი იქნება 100,351,375 (ასი მილიონ სამასორმოცდათერთმეტი ათას სამას სამოცდათხუთმეტი) ლარი, რომელიც სრულად იქნება განადგებული.
2. ბანკის აქციებია 20,070,275 (ოცი მილიონ სამოცდაათი ათას ორას სამოცდათხუთმეტი) რეგისტრირებული ჩვეულებრივი (ხმის უფლების მქონე) აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით 5 (ხუთი) ლარი.
3. აქციონერთა საერთო კრებაზე თითოეული ჩვეულებრივი აქცია თითო ხმის უფლების მატარებელია.

მუხლი 6

აქციონერის მიერ აქციის ღირებულების გადახდის შემდეგ, ბანკი დაუყოვნებლივ გასცემს გადახდის დამადასტურებელ ქვითარს. ბანკი არეგისტრირებს თითოეულ აქციონერს, მის საკუთრებაში არსებულ აქციათა რაოდენობას და სხვა კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას აქციონერთა რეესტრში და თითოეულ აქციონერს

გადასცემს დამადასტურებელ დოკუმენტს. ბანკის აქციონერთა რეესტრს აწარმოებს აქციონერთა დამოუკიდებელი რეესტრი. ბანკი უზრუნველყოფს აქციონერთა დამოუკიდებელი რეესტრის მიერ საჭირო სარეგისტრაციო პროცედურის განხორციელებას და, წინამდებარე წესდების შესაბამისად, აქციონერებისთვის დამადასტურებელი საბუთების წარდგენას.

II.3 საწესდებო კაპიტალის ზრდა

მუხლი 7

1. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქციონერების მიერ სხვაგვარად არის განსაზღვრული, საწესდებო კაპიტალის ნებისმიერი ზრდა განხორციელდება იმ რაოდენობის ჩვეულებრივი (ერთი აქცია ერთი ხმის უფლებით) და პრივილეგირებული (ხმის უფლების გარეშე) აქციების გამოშვების გზით, რა რაოდენობაც უზრუნველყოფს აქციონერების მიერ ბანკის საკუთარ საერთო კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის იგივე პროცენტული მაჩვენებლების შენარჩუნებას. თითოეული გამოშვებული აქციის ღირებულება მთლიანად უნდა იყოს განაღდებული.
2. საწესდებო კაპიტალის ნებისმიერი ზრდა საჭიროებს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია ხმათა ორი მესამედით და მე-6 მუხლის შესაბამისად.
3. თითოეული აქციონერი სარგებლობს ახალ გამოცემული ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების შესყიდვის უპირატესი უფლებით აქციათა გამოშვების მომენტში მათ ხელთ არსებულ აქციათა პროპორციული ოდენობით. ასეთი უფლების განხორციელება შესაძლებელია აქციონერთა საერთო კრების მიერ ახალი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში, დირექტორთა საბჭოს სახელზე გაკეთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე.
4. ქვითრების გაცემასა და აქციათა რეგისტრაციისთვის შესაბამისად გამოიყენება მე-6 მუხლი.
5. ახალი აქციების გამოშვების ყველა დეტალი და პირობა ჩამოყალიბებული იქნება აქციათა გამოშვებისა და შესყიდვის ხელშეკრულებაში, რომელიც გაფორმდება ბანკს და იმ აქციონერებს შორის, რომლებიც გამოხატავენ ახალი აქციების შეძენის სურვილს, იმ შემთხვევაში, თუ (i) აღნიშნული დეტალები მე-6 მუხლის მოთხოვნებს შეესაბამება, (ii) 5.3 მუხლის მოქმედება გავრცელდება ახალ აქციებთან მიმართებაში და (iii) აქციონერების წინასწარი თანხმობის გარეშე, ახალი აქციები არ გაიცემა პირებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ ბანკის აქციონერებს.
6. კაპიტალის ზრდის შემთხვევაში, დირექტორთა საბჭო ვალდებულია განახორციელოს საწესდებო კაპიტალის ზრდის რეგისტრაციისთვის საჭირო ყველა ღონისძიება, მათ შორის წესდებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა,

ახალი აქციების გამოშვების რეგისტრაცია აქციონერთა დამოუკიდებელ რეესტრში ან ნებისმიერ სხვა კომპეტენტურ სარეგისტრაციო ორგანოში, შეტყობინებები ეროვნულ ბანკში ან/და ნებისმიერ სხვა ორგანოში, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ნაწილი III

აქციონერების უფლებები და მოვალეობები

III.1 ზოგადი ნაწილი

მუხლი 8

აქციონერთა უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება წინამდებარე წესდებითა და ბანკსა და აქციონერებს შორის დადებული აქციონერთა ხელშეკრულებით.

მუხლი 9

ჩვეულებრივი, ხმის უფლების მქონე, აქციების მფლობელ ნებისმიერ აქციონერს, სხვა უფლებებთან ერთად, გააჩნია შემდეგი უფლებები:

- ხმის უფლება აქციონერთა საერთო კრებაზე;
- მოგების განაწილებაში მონაწილეობის მიღების უფლება, მფლობელობაში არსებული აქციების პროპორციულად;
- გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქციონერების მიერ წერილობითი ფორმით სხვა რამ არის შეთანხმებული, აქციონერებს შეუძლიათ აქციების მესამე პირებისათვის გადაცემა. თითოეულ აქციონერს გადასაცემ აქციებთან მიმართებაში ენიჭება უპირატესი შესყიდვის უფლება, თუ აქციონერთა წერილობითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

III.2 მოგების განაწილების კრიტერიუმები

მუხლი 10

საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად, აქციონერთა საერთო კრების რიგითი სხდომის დაწყებამდე სულ მცირე 20 (ოცი) დღით ადრე სამეთვალყურეო საბჭო აცნობებს აქციონერთა საერთო კრებას შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობისა და შემადგენლობის შესახებ. აქციონერთა საერთო კრების რიგით სხდომაზე ხმათა ორი მესამედით ხდება აუდიტირებული წლიური ანგარიშების დამტკიცება.

ნაწილი IV

ბანკისათვის ნებადართული საქმიანობის სფერო

მუხლი 11

1. ბანკს უფლება აქვს განახორციელოს ის საქმიანობა, რაც კანონის სრული დაცვით ლიცენზირებული კომერციული ბანკებისათვის არის ნებადართული, მაგრამ ეკრძალება ისეთი საქმიანობის წარმართვა ან დაფინანსება, რომელიც მოცემულია სოციალური და გარემოს დაცვის ინტერესებიდან აკრძალული საქმიანობის ნუსხაში, რომელიც ერთვის წინამდებარე წესდებას. დანართი №2.
2. ბანკი ახორციელებს საკრედიტო საქმიანობას, რომლის შედეგად ერთ კლიენტზე ან დაკავშირებულ კლიენტთა ჯგუფზე გაცემული კრედიტის (სესხები, აკრედიტივები, გარანტიები და ა.შ.) თანხობრივი ოდენობა არ აღემატება ბანკის საწესდებო კაპიტალის 10%-ის ექვივალენტურ თანხას. გამონაკლისი საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარ თანხმობას.

მუხლი 12

1. გადაწყვეტილებები ფილიალების/განყოფილებების გახსნის შესახებ მიიღება დირექტორთა საბჭოს მიერ.

ნაწილი V

ბანკის ორგანოები

V.1 ზოგადი ნაწილი

მუხლი 13

1. ბანკის ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორთა საბჭო.
2. აქციონერთა საერთო კრება ბანკის შიგნით გადაწყვეტილებების მიმდებარე უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს.
3. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბანკის საქმიანობის პოლიტიკას, აძლევს შესაბამის ინსტრუქციებსა და მითითებებს ბანკის დირექტორთა საბჭოს. თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული საქართველოს კანონმდებლობით, სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს დირექტორთა საბჭოს წევრებს.
4. დირექტორთა საბჭო წარმოადგენს ბანკს და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ საქმიანობაზე.
5. ბანკის ორგანოების უფლებები, ამოცანები და ვალდებულებები დეტალურად არის ჩამოყალიბებული მომდევნო მუხლებში.

V.2 აქციონერთა საერთო კრება

მუხლი 14

აქციონერთა საერთო კრება წარმართავს ორი სახის სხდომებს: აქციონერთა საერთო კრების რიგითი სხდომასა და აქციონერთა საერთო კრების რიგგარეშე სხდომას.

მუხლი 15

აქციონერთა საერთო კრებაზე თითოეული ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას.

მუხლი 16

ჩვეულებრივი აქციების მფლობელ ნებისმიერ აქციონერს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აქციონერთა საერთო კრების სხდომებზე უშუალოდ დასწრების ან შესაბამისად უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით. ხმის უფლების დელეგირება დირექტორთა საბჭოს წევრებზე ან ბანკის თანამშრომლებზე დაუშვებელია.

მუხლი 17

აქციონერთა საერთო კრებაზე კვორუმი შემდგარია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმათა ნახევარზე მეტი.

მუხლი 18

თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული წინამდებარე წესდებით, აქციონერთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე ან წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 19

აქციონერთა საერთო კრების სხდომების მსვლელობისას, წევრებს პოზიციის დაფიქსირება შეუძლიათ როგორც ზეპირად, ასევე, წერილობითი ფორმით. აქციონერთა საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღება შეუძლია მხოლოდ საერთო კრების სხდომებზე.

მუხლი 20

1. აქციონერთა საერთო კრება აანალიზებს და განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მომზადებულ ანგარიშებს საქმიანობის შესახებ და, საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად, დამსწრე ან წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით:
 - 1.1. ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს;
 - 1.2. ნიშნავს და ათავისუფლებს ბანკის გარე აუდიტორს;
 - 1.3. იღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გადაწყვეტილებებს.
2. დამსწრე ან წარმოდგენილ ხმათა ორი მესამედით, აქციონერთა საერთო კრება საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად:
 - 2.1. ამტკიცებს ბანკის წლიურ შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშებს, წლის განმავლობაში დაფიქსირებულ მოგება/ზარალის განთავსებასა და განაწილებას, და იღებს გადაწყვეტილებებს რეზერვების შექმნისა და მოგების შენარჩუნების შესახებ;
 - 2.2. ამტკიცებს ბანკის საკუთარი კაპიტალის ზრდას ან შემცირებას,
 - 2.3. იღებს გადაწყვეტილებას ბანკის აქტივების ნახევარზე მეტის გაყიდვის შესახებ, და
 - 2.4. ამტკიცებს ბანკის აქციების ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საჯაროდ გატანის საკითხს.

3. დამსწრე ან წარმოდგენილ ხმათა სამი მეოთხედით აქციონერთა საერთო კრება საქართველოს კანონმდებლობის და წინამდებარე წესდების შესაბამისად:
 - 3.1. ამტკიცებს და შეაქვს ცვლილებები წინამდებარე წესდებაში,
 - 3.2. იღებს გადაწყვეტილებას ბანკის სამართლებრივი სტატუსის ცვლილების, ბანკის სხვა ბანკთან ან ორგანიზაციასთან შერწყმის, ან მისი დაშლის შესახებ.

მუხლი 21

აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე, რომელიც იმავდროულად არის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარეობს აქციონერთა საერთო კრების სხდომებს. მისი არყოფნის შემთხვევაში სხდომას წაუძღვება სამეთვალყურეო საბჭოს სხვა რომელიმე წევრი (ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, გენერალური დირექტორი ან დირექტორთა საბჭოს ნებისმიერი სხვა წევრი), მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 54.4 მუხლის თანახმად.

V.3. აქციონერთა საერთო კრების რიგითი შეხვედრა

მუხლი 22

1. აქციონერთა საერთო კრების რიგითი სხდომები გაიმართება წელიწადში ერთხელ გასული ფინანსური წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშის მომზადებიდან არაუგვიანეს ორი თვის განმავლობაში, რომელიც თვის მხრივ უნდა მომზადდეს წინა ფინანსური წლის დასრულებიდან სამი თვის განმავლობაში.
2. რიგითი სხდომა გაიმართება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრის) მიერ აქციონერებისათვის მოსაწვევების გაგზავნიდან არაუგვიანეს 20 დღის განმავლობაში. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ასევე განსაზღვრავს სხდომის დღის წესრიგს. აქციონერთა საერთო კრების მოწვევა საჭირო არ არის წინამდებარე წესდების 24.2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

V.4. აქციონერთა საერთო კრების რიგგარეშე სხდომა

მუხლი 23

1. აქციონერთა საერთო კრების რიგგარეშე სხდომა მოიწვევა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, დირექტორების ან აქციათა მინიმუმ 5 %-ის მფლობელი

აქციონერის მოთხოვნით. მოთხოვნა ეგზავნებათ აქციონერებს სხდომის დაგეგმილ თარიღამდე 20 (ოცი) დღით ადრე დღის წესრიგთან ერთად.

2. ბანკის ინტერესებიდან გამომდინარე, რიგგარეშე სხდომის მოწვევა შეიძლება შეტყობინების უფრო მოკლე ვადის დაცვით. ამ შემთხვევაში, შეტყობინება იგზავნება სხდომის თარიღამდე 5 დღით ადრე, იმ პირობით თუ სხდომის გამართვამდე აქციონერები არ გამოთქვამენ პრეტენზიას ამ პროცედურის წინააღმდეგ.

მუხლი 24

1. იმ შემთხვევაში, თუ ერთი აქციონერი ფლობს ბანკის აქციათა 75%-ზე მეტს, გადაწყვეტილებების მისაღებად არ არის საჭირო აქციონერთა საერთო კრების მოწვევა. აქციონერის ასეთი გადაწყვეტილება აქციონერთა საერთო კრების ოქმის ტოლფასია. ყველა დანარჩენ აქციონერს წერილობით შეეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ ზემოხსენებულ აქციებს ფლობს ერთზე მეტი აქციონერი, აქციონერთა საერთო კრების მოწვევა სავალდებულოა, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 54.1¹ მუხლის შესაბამისად.
2. აქციათა 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

V.5. სამეთვალყურეო საბჭო

მუხლი 25

1. ბანკის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრები აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ. საფუძვლიანი მიზეზის არსებობისას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ნებისმიერ დროს შეიძლება გათავისუფლდნენ თანამდებობიდან აქციონერთა საერთო კრების მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იმავდროულად არ შეიძლება ასრულებდნენ აღმასრულებელ ფუნქციებს ან იყვნენ ბანკის თანამშრომლები.
2. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 (სამი) წევრისაგან. თუ აქციონერთა საერთო კრების რეზოლუციის საფუძველზე საბჭოს წევრების რაოდენობა გაიზრდება, წევრთა რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 21-ს და ყოველთვის უნდა იყოს კენტი რიცხვი.
3. თითოეულ აქციონერს, რომელიც ფლობს ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივ აქციათა მინიმუმ 20%-ს, უფლება აქვს წარადგინოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. იგივე გამონაკლისის გათვალისწინებით, ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივი აქციების მფლობელ აქციონერთა ჯგუფს, რომელთა აქციები ჯამში შეადგენს სულ მცირე 20% შეუძლია წარადგინოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. წარდგენილი კანდიდატების არჩევა სამეთვალყურეო საბჭოში ხდება აქციონერთა საერთო კრების მიერ 20.1.1 მუხლის შესაბამისად. წევრობის ვადა განისაზღვრება 4 წლით, ან უფრო მოკლე ვადით, რომელსაც აქციონერთა

საერთო კრება განსაზღვრავს. შესაძლებელია სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის ხელახლა არჩევა. თუმცა, მათი უფლებამოსილება წყდება არაუადრეს შემცვლელის არჩევისა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობიდან განთავისუფლებისას, მისი შემცვლელის არჩევა უნდა მოხდეს სამეთვალყურეო საბჭოს მომდევნო სხდომამდე. თითოეულ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, რომელიც უფლებამოსილია წარადგინოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, იმავდროულად, შეუძლია მოითხოვოს წარდგენილი წევრის მოხსნა, რისთვისაც საჭიროა აქციონერთა საერთო კრების თანხმობა, მაგრამ განთავისუფლების მოთხოვნასთან ერთად, წარდგენილ უნდა იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ახალი კანდიდატურა, წევრის მოხსნის შედეგად დარჩენილი ვაკანტური ადგილის შესავსებად. ახალი კანდიდატურის არჩევა სამეთვალყურეო საბჭოში ხდება აქციონერთა საერთო კრების მიერ 20.1.1 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 26

სამეთვალყურეო საბჭო, ხმათა უბრალო უმრავლესობით თავისი წევრების შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს. თავმჯდომარე აიხევა იმავე ვადით, რომლითაც იგი აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხელახლა არჩევა შესაძლებელია.

მუხლი 27

1. დამსწრე ან წარმოდგენილ ხმათა სამი მეოთხედით სამეთვალყურეო საბჭო:
 - 1.1. განსაზღვრავს ბანკის საქმიანობის პოლიტიკას, იღებს და ამტკიცებს პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს,
 - 1.2. ამტკიცებს ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ წლიურ ბიზნესგეგმას (წლიური საოპერაციო ბიუჯეტის ჩათვლით).
2. დამსწრე ან წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით სამეთვალყურეო საბჭო:
 - 2.1. ამზადებს რეკომენდაციებს აქციონერთა საერთო კრებისათვის, ასრულებს აქციონერთა საერთო კრების მითითებებს და თავმჯდომარის საშუალებით იწვევს აქციონერთა საერთო კრების სხდომებს წინამდებარე წესდების 23-ე და 25-ე მუხლების შესაბამისად;
 - 2.2. განიხილავს და ამტკიცებს ფინანსური წლის განმავლობაში დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ ბიზნეს ოპერაციების ანგარიშს და ამზადებს ბანკის წლიურ ანგარიშს აქციონერთა საერთო კრებაზე წარსადგენად;
 - 2.3. დისკრეციული უფლების საფუძველზე, ნებისმიერ დროს ნიშნავს და ათავისუფლებს ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრებს, დირექტორთა საქმიანობასთან დაკავშირებით გასცემს დირექტივებს და მითითებებს, განსაზღვრავს დირექტორთა საბჭოს წევრების ხელფასის ოდენობას;

- 2.4. წინამდებარე წესდების 11.2 მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებებს ისეთი კრედიტების გაცემის თაობაზე, რომლებიც აღემატება ბანკის განხორციელებული საწესდებო კაპიტალის 10%-ს;
- 2.5. იღებს გადაწყვეტილებებს ბანკის რეფინანსირების ნებისმიერი წყაროს შესახებ, სესხების (გარდა საქართველოს ეროვნულ ბანკთან, კომერციულ ბანკებთან ან შესაბამის სახელმწიფო/კერძო სტრუქტურებთან ბანკის ლიკვიდურობის მართვის მიზნით განხორციელებული მონეტარული ოპერაციებისა), ობლიგაციების გამოშვების ან სხვა სახით და შესაბამისი გადაწყვეტილებების შესასრულებლად მითითებებს აძლევს ბანკის დირექტორთა საბჭოს;
- 2.6. პირადად ასრულებს აქციონერთა საერთო კრების რიგით და რიგგარეშე სხდომებზე მიღებულ რეზოლუციებს ან კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, მითითებებს აძლევს დირექტორთა საბჭოს რეზოლუციების შესასრულებლად;
- 2.7. ამტკიცებს ბანკსა და მის დირექტორთა საბჭოს ნებისმიერ წევრს შორის და/ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან დადებულ გარიგებებს, რომელიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით ან წინამდებარე წესდებით;
- 2.8. ახორციელებს წინამდებარე წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებს, მათ შორის ბანკის შიგნით სათანადო კომიტეტების არსებობსა და ფუნქციონირებას, ისევე როგორც ისეთ ღონისძიებებს, რომელიც არ მოითხოვს აქციონერთა საერთო კრების ნებართვას;
- 2.9. ცვლილებები შეაქვს საზოგადოების წესდებაში ნებადართული კაპიტალის ხარჯზე საწესდებო კაპიტალის ზრდასთან დაკავშირებით;

მუხლი 28

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები გაიმართება მინიმუმ კვარტალში ერთხელ. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე 10 სამუშაო დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე იწვევს საბჭოს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს და თავმჯდომარეობს სხდომებს. საგანგებო ვითარებაში შეტყობინების ვადა შეიძლება უფრო მცირე იყოს, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, არანაკლებ 8 დღისა.

მუხლი 29

1. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე ქვორუმი შემდგარია თუ მას ესწრება (განსაკუთრებულ შემთხვევებში, თავმჯდომარის გადაწყვეტილებით - ტელეფონით მონაწილეობს) სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მინიმუმ ორი მესამედი. თუ წინამდებარე წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე გადაწყვეტილებები მიღებულად ითვლება

წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილებები სხდომის ჩატარების გარეშე თუ კი მისი წევრები წერილობითი ფორმით, ერთსულოვნად შეთანხმდებიან განსახილველ საკითხზე.

2. იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ ახერხებს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე დასწრებას, მას შეუძლია თავისი ხმის უფლება სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრს გადასცეს.
3. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების წერილობითი ჩანაწერი და შესაბამის სხდომაზე წარმოდგენილი საბჭოს წევრების უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ყველა დისკუსიის ჩანაწერი შეჯამებული იქნება ბანკის წარმომადგენლის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ, რომელსაც განხილვის შემდეგ ხელს მოაწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.
4. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომათა ჩანაწერები ხელმისაწვდომია შემოწმებისათვის სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრისათვის და მტკიცდება (ან, საჭიროების შემთხვევაში, შეიცვლება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილ ხმათა უმრავლესობით მიღებული რეზოლუციის საფუძველზე) სამეთვალყურეო საბჭოს პირველ მომდევნო სხდომაზე.
5. სხდომების ოქმი შემოწმებისათვის ხელმისაწვდომია აქციონერებისათვის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან მათი წარმომადგენლებისათვის ბანკის იურიდიულ მისამართზე ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ სხვა ნებისმიერ მისამართზე.

მუხლი 30

1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს სხდომებზე დასწრების ხარჯები არ აუნაზღაურდებათ.
2. ბანკი სრულად აუნაზღაურებს და დაიცავს სამეთვალყურეო საბჭოს არსებულ თუ ყოფილ წევრებს ნებისმიერი სახის ზარალის, მოთხოვნების, ვალდებულებების ან ხარჯებისაგან, რომელიც წარმოიქმნა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის ფაქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოქმედება განხორციელებულია წევრის განზრახვი ან გაუფრთხილებელი ბრალით ან იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ყოფილი ან არსებული წევრი სასამართლოს მიერ იქნება ბანკის მიმართ დამნაშავედ ცნობილი.

V.6. აუდიტის კომიტეტი

მუხლი 31

1. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, სამეთვალყურეო საბჭოსგან იქმნება აუდიტის კომიტეტი. უდიტის კომიტეტი

შედგება სულ მცირე სამი წევრისგან, ამასთან, წევრთა უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები. აუდიტის კომიტეტის წევრები ინიშნებიან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 4 წლით, ან უფრო მოკლე ვადით, რომელსაც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო. აუდიტის კომიტეტის წევრების ხელახლა არჩევა დასაშვებია. აუდიტის კომიტეტის წევრები მოქმედებენ დამოუკიდებლად და არ ექვემდებარებიან ბანკის აღმასრულებელ პერსონალს ან დირექტორთა საბჭოს წევრებს, არც მათ ზეგავლენას განიცდიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს პერიოდულად აბარებს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ.

2. აუდიტის კომიტეტის წევრებს სხდომაზე დასასწრები ხარჯები არ აუნაზღაურდებათ. ანაზღაურდება გონივრული ხარჯები.

მუხლი 32

აუდიტის კომიტეტის ვალდებულება და პასუხისმგებლობა:

1. იმოქმედოს როგორც ბანკის დამოუკიდებელმა და ობიექტურმა მხარემ ბანკის რისკების მართვის პროცესსა და შიდა კონტროლის სისტემაში;
2. ხელი შეუწყოს გარე აუდიტორებს საქმიანობაში;
3. ზედამხედველობა გაუწიოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მუშაობას;
4. ზედამხედველობა გაუწიოს საბუღალტრო წესებისა და პროკრედიტ კოლდინგის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმის შესრულებას შიდა აუდიტის დეპარტამენტის მეშვეობით;
5. მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების პროცესებს და დაამტკიცოს გამოსაქვეყნებელი ფინანსური ანგარიშგებები;
6. შიდა კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების მიზნით, აუდიტის კომიტეტის წევრებს, შესაძლოა, ჰქონდეთ წვდომა ნებისმიერ და ყველა სახის საქმიან დოკუმენტაციაზე. თანამშრომლები ვალდებულნი არიან მიაწოდონ ყველა საბუღალტრო და სხვა სახის დოკუმენტი და ინფორმაცია აუდიტის კომიტეტის ნებისმიერ წევრს, რომელიც მოითხოვს მას.

მუხლი 33

აუდიტის კომიტეტი საქმიანობის ანგარიშს პერიოდულად წარუდგენს აქციონერთა რიგით საერთო კრებას და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს.

მუხლი 34

აუდიტის კომიტეტის წევრები იკრიბებიან მინიმუმ კვარტალში ერთხელ, ან უფრო ხშირად, საჭიროებიდან გამომდინარე. როგორც წესი, კრების ადგილია საქმიანობის ადგილი. კომიტეტზე ქვორუმი შემდგარია, როდესაც კრებაზე სათანადოდ არის მოწვეული მისი ყველა წევრი, ხოლო კრებას ესწრება ან სათანადოდ წარმოდგენილია, სულ მცირე, ორი წევრი. გამონაკლის შემთხვევაში, წევრებს კრების მუშაობაში მონაწილეობა შეუძლიათ ტელეფონის, ვიდეოკონფერენციის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. კომიტეტის გადაწყვეტილებები მიიღება წარმოდგენილ ხმათა უმრავლესობით და ხმის მიცემისგან თავის შეკავება არ მიიღება.

V.7. დირექტორთა საბჭო

მუხლი 35

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისად, ბანკის დირექტორთა საბჭო წარმართავს და ახორციელებს ბანკის ყოველდღიურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. დირექტორთა რაოდენობა უნდა იყოს მინიმუმ სამი.

მუხლი 36

ბანკის სხვა ორგანოებთან თანამშრომლობით, ბანკის დირექტორთა საბჭომ უნდა უზრუნველყოს ბანკის გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის შენარჩუნება და ასევე უზრუნველყოს აღნიშნული მიზნის მისაღწევად ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელება.

ბანკის დირექტორთა საბჭო ასევე ვალდებულია:

- წარუდგინოს საქმიანობის ანგარიში ბანკის აუდიტის კომიტეტსა და სამეთვალყურეო საბჭოს. მოამზადოს წლიური ბიზნეს გეგმა;
- დანიშნოს/გაანთავისუფლოს ბანკის თანამშრომლები და განსაზღვროს მათი ანაზღაურება;
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დროდადრო განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს ანგარიშები;
- მოამზადოს წლიური ფინანსური უწყისები და წლიური ანგარიშები სამეთვალყურეო საბჭოსათვის განსახილველად და აქციონერთა საერთო კრებაზე წარსადგენად;
- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნით, მოამზადოს სპეციალური ანგარიშები;

- სრული შემადგენლობით (ან მისი რომელიმე წევრი) დაესწროს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს თუ მოწვევას მიიღებს სამეთვალყურეო საბჭოსგან;
- შეასრულოს სამეთვალყურეო საბჭოს ყველა სხვა მითითება, იმის გათვალისწინებით, რომ შესრულება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და წინამდებარე წესდებას;
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული ბიზნეს პოლიტიკის შესაბამისად, განახორციელოს ბანკის ყოველდღიური ბიზნესოპერაციები;
- კრედიტების გაცემასთან დაკავშირებით, მიიღოს გადაწყვეტილება თანამშრომელთათვის ერთპიროვნული ან ერთობლივი უფლებამოსილების მინიჭების საკითხზე. საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის შიგნით ერთი ან რამდენიმე საკრედიტო კომიტეტის შექმნის და მათი კომპეტენციის განსაზღვრის შესახებ, თუ მსგავსი კომიტეტის შექმნა დროდადრო საჭიროდ ჩაითვლება;
- მოამზადოს და წარუდგინოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წინადადებები ბანკის წესდების, ასევე ბანკის სხვა ინსტრუქციებისა და წესების ცვლილებასთან დაკავშირებით;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის საქმიანობის განვითარების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს ეროვნულ ბანკს;
- ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელოს სხვა ღონისძიებები;

დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილება შესაძლოა შეიცვალოს ან შეიზღუდოს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია ბანკის მართვის უფლებამოსილების მინიჭება სამეთვალყურეო საბჭოსათვის.

მუხლი 37

ბანკის დირექტორთა საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დირექტორთა საბჭოს წევრების წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 38

1. სამეთვალყურეო საბჭო დისკრეციული უფლების საფუძველზე ნიშნავს და ნებისმიერ დროს ათავისუფლებს ბანკის გენერალურ დირექტორს და დირექტორთა საბჭოს სხვა წევრებს.

2. დირექტორთა საბჭოს წევრები ინიშნებიან მაქსიმუმ ოთხი წლით ან უფრო მოკლე ვადით, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს, ხელახალი დანიშვნის უფლებით.

მუხლი 39

1. დირექტორთა საბჭოს წევრები პასუხისმგებელნი არიან ბანკის საოპერაციო საქმიანობის მართებულად და კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვაზე.
2. დირექტორთა საბჭო ვალდებულია აცნობოს ბანკის ორგანოებს, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საქართველოს კანონმდებლობასთან, წინამდებარე წესდებასთან ან სხვა წესებთან შეუსაბამობის შესახებ.

მუხლი 40

დირექტორთა საბჭო ვალდებულია აცნობოს სამეთვალყურეო საბჭოს მათი გადაწყვეტილებების შედეგების შესახებ, თუკი ეს გადაწყვეტილებები საფრთხეს უქმნის ბანკის ფინანსურ სტაბილურობას.

მუხლი 41

1. დირექტორთა საბჭო უფლებამოსილია გარკვეული ამოცანების შესრულების უფლებამოსილება გადასცეს ბანკის თანამშრომლებს, პასუხისმგებლობის განაწილების გათვალისწინებით, თუკი აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.
2. დირექტორთა საბჭო უფლებამოსილია, სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი წერილობითი თანხმობით, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში, სრულად ან ნაწილობრივ მოახდინოს საკუთარი უფლებამოსილების დელეგირება.

ნაწილი VI

ბანკის წარმომადგენლობა

მუხლი 42

ბანკს ერთობლივად წარმომადგენს დირექტორთა საბჭოს ნებისმიერი ორი წევრი.

მუხლი 43

ბანკის დირექტორთა საბჭომ, შესაძლოა, ბანკის გარკვეულ თანამშრომლებს მიანიჭოს გენერალური მინდობილობა (ხელმოწერის სრული უფლებამოსილება) ან, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, წარმომადგენლობის შეზღუდული უფლებამოსილება.

მუხლი 44

ბანკი ვალდებულია გამოაქვეყნოს იმ პირთა ვინაობა, რომელთაც მიენიჭათ ხელმოწერის სრული უფლებამოსილება და ბანკის წარმოდგენის შეზღუდული უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობებში და ასევე გამოაქვეყნოს იმ კონკრეტული პირების ვინაობა, რომელთაც ენიჭებათ ხელმოწერის უფლებამოსილება ბანკის შიგნით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი VII
დასკვნითი დებულებები

მუხლი 45

წინამდებარე წესდება ძალაში შედის ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე ერთხმად დამტკიცების შემდეგ.

ხელმოწერილია:

დანართი 1



სოციალური და ბარემოს ინტერმედიან ბამომდინარე აკრძალული
საქმიანობის ნუსხა

არ დაფინანსდება შემდეგი საქმიანობები:

- ა) იძულებითი შრომის მავნე ან ექსპლუატაციური ფორმების/ბავშვთა საზიანო შრომის გამოყენებით პროდუქციის წარმოება ან საქმიანობა, დისკრიმინაციული საქმიანობა, ან იმგვარი მოპყრობა, რაც თანამშრომლებს პროფკავშირების ან სხვა ტიპის გაერთიანებების წევრობისა და დამსაქმებელთან მოლაპარაკებების წარმოების უფლებას ართმევს;
- ბ) პროდუქციის წარმოება ან ვაჭრობა, ან ისეთი საქმიანობა, რომელიც აკრძალულია მასპინძელი ქვეყნის (ე.ი. ადგილსამყოფელი ქვეყნის) კანონმდებლობისა თუ ნორმატიული აქტების, ან საერთაშორისო კონვენციების და ხელშეკრულებების საფუძველზე, მათ შორის, და არა მხოლოდ, ბიომრავალფეროვანი რესურსებისა¹ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონმდებლობისა და კონვენციების საფუძველზე;
- გ) იარაღისა და საბრძოლო მასალების წარმოება და ვაჭრობა;
- დ) ალკოჰოლური სასმელების წარმოება და ვაჭრობა (ლუდის და ღვინის გარდა)
- ე) თამბაქოს წარმოება ან ვაჭრობა¹
- ვ) სათამაშო ბიზნესი, კაზინო და მსგავსი საქმიანობა
- ზ) ვაჭრობა გარეული ცხოველებით ან გარეული ცხოველების პროდუქტებით, რომელიც რეგულირდება CITES¹-ით;
- თ) რადიოაქტიური მასალების წარმოება ან ვაჭრობა, მათ შორის რადიოაქტიული ნარჩენების შენახვა და განკარგვა;
- ი) შეუფუთავი ასბესტის ბოჭკოების, ან ასბესტის შემცველი პროდუქტების წარმოება, ვაჭრობა ან გამოყენება;
- კ) ხე-ტყის კომერციული მიზნით გაჩეხვა, ან აღჭურვილობის შექმნა ტროპიკული ტყეების გასაჩეხად;
- ლ) პოლიქლორიდის შემცველი ბიფენილენის პროდუქტების წარმოება ან ვაჭრობა¹;
- მ) საერთაშორისო კონვენციებით შეზღუდული ან აკრძალული ფარმაცევტული ნივთიერებების, პესტიციდების/ჰერბიციდების და სხვა სახიფათო ნივთიერებების წარმოება ან ვაჭრობა¹;
- ნ) საერთაშორისო კონვენციებით შეზღუდული ოზონის შრის შემამცირებელი ნივთიერებების შემცველი პროდუქციის წარმოება ან ვაჭრობა;
- ო) დრიფტერული ბადეებით თევზჭერა ზღვაში, რომელთა სიგრძე აღემატება 2,5 კმ.
- პ) ნავთობის ან სხვა საშიში ნივთიერებების გადაზიდვა ტანკერებით, რაც არ შეესაბამება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოთხოვნებს^{iv};
- ჟ) ბირთვულ წარმოებასთან ან ბირთვულ მასალებთან დაკავშირებული ბიზნესი ან საქმიანობა;
- რ) გენმოდულიცირებული ორგანიზმების გამოშვება ბუნებრივ გარემოში, და ბუნებრივ გარემოში გამოსაშვები გენმოდულიცირებული ორგანიზმებით ვაჭრობა;
- ს) ადგილობრივი ხალხებით, და/ან დაუცველი ჯგუფებით დასახლებული მიწებზე, ამ ტერიტორიის შემოგარენში, ან ამ მიწაზე გამდინარე მდინარეზე საქმიანობა,

როცა მიწაცა და წყლებიც გამოიყენება ისეთი საარსებო საქმიანობებისთვის, როგორცაა შინაური პირუტყვის საძოვრები, ნადირობა, თუ თევზაობა.

- ტ) ადგილობრივი კანონმდებლობით, ან საერთაშორისო კონვენციებით დაცულ ადგილებზე, მეცნიერული ინტერესის მიდამოებში, იშვიათი/გადაშენების პირას მყოფი სახეობების გავრცელების არეალში და ეკოლოგიური მნიშვნელობის პირველყოფილ ტყეებში, მათ შემოგარენში, ან ამ ტერიტორიებზე გამდინარე წყლებზე^v;
- უ) საქმიანობები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედონ კულტურული ან არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე ადგილებზე;
- ფ) საქმიანობა, რომელიც მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას გულისხმობს;
- ქ) საერთაშორისო კანონით აკრძალული ნარჩენების საზღვრებში გადატანა;
- ღ) მცირე ზომის ჰიდროკასკადების აგება;
- ყ) ნებისმიერი ბიზნესი, რომლის ძირითადი საქმიანობა რამენაირად უკავშირდება პორნოგრაფიას ან პროსტიტუციას

-
- i იძულებითი შრომა გულისხმობს არანებაყოფლობით სამუშაოს ან მომსახურებას, რომელიც შესრულებულია პირის მიერ ფიზიკური საფრთხის ან სხვა სახის მუქარის ქვეშ; ბავშვთა საზიანო შრომა გულისხმობს ბავშვთა შრომას, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით ექსპლუატაციურია, საზიანო მათი ჯანმრთელობისათვის ან ხელს უშლის მათ განათლებას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ ან სოციალურ განვითარებას; დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას (იხ. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და ინვესტიციების გარანტიების მრავალმხრივი სააგენტოს “ერთობლივი შემოწმებული იძულებითი შრომისა და ბავშვთა საზიანო შრომის შესახებ”; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის “შრომის ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების დეკლარაცია” და შემდეგი კონვენციებით დაცულ პრინციპებს: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 29-ე და 105-ე კონვენციები (იძულებითი შრომა), 87-ე (გაერთიანების უფლება), 98-ე (კოლექტიური მოლაპარაკებების უფლება), მე-100 და 111-ე (დისკრიმინაცია), 138-ე მინიმალური ასაკი), 182-ე (ბავშვთა შრომის უმძიმესი ფორმები), “ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია”.
 - ii ბიომრავალფეროვნების შესახებ საერთაშორისო კონვენციებში შედის: გარეული ცხოველების მიგრირებული სახეობების დაცვის შესახებ კონვენცია (ბონის კონვენცია); საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე, განსაკუთრებით წყლის ფრინველების ბინადრობის არეალის ჭაობნარის შესახებ კონვენცია (რამსარის კონვენცია); ევროპის ველური ბუნებისა და გარეული ცხოველების გავრცელების არეალის დაცვის შესახებ კონვენცია (ბერნის კონვენცია); მსოფლიოს მემკვიდრეობის შესახებ კონვენცია; ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია.
 - iii არ ეხება იმ კლიენტებს/საწარმოებს, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ ამ საქმიანობაში. “უშუალოდ არ მონაწილეობენ” ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს კლიენტის ძირითად საქმიანობის დანამატს.
 - iv CITES: გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნის და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენცია. სახეობათა ჩამონათვალი შეგიძლიათ მიიღოთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან ან ევროპის გაერთიანებისა და რეკონსტრუქციის ბანკისგან.
 - v არ შეეხება შეფუთული ასბესტის ცემენტის შესყიდვას ან გამოყენებას სადაც ასბესტის შემცველობა <20%;
 - vi პოლიქლორიტის ბიფენილები განეკუთვნება მაღალი ტოქსიკური ქიმიკატების ჯგუფს. გვხვდება ზეთის შემცველ ტრანსფორმატორებში, კონდენსატორებში და გამანაწილებელ აღჭურვილობაში რომელიც გამოშვებულია 1950-1985 წლებში
 - vii შეზღუდული ან აკრძალული პროდუქტების ჩამონათვალის მისაღებად მიმართეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას. შესაბამისი დოკუმენტაცია მოიცავს გაეროს დირექტივას №^{2455/92} გარკვეული საშიში ქიმიკატების ექსპორტ-იმპორტის შესახებ, შესაბამისი ცვლილებებითურთ, გაეროს ერთიან სიას იმ პროდუქტებისა, რომელთა მოხმარება და/ან გაყიდვა აკრძალული, გაუქმებული, მკაცრად შეზღუდული ან დაუმტკიცებელია მთავრობების მიერ; გარკვეული საშიში ქიმიკატებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის პროცედურების წინასწარ შეტყობინებული თანხმობის შესახებ კონვენციას (როტერდამის კონვენცია); სტოკჰოლმის კონვენციას მდგრადი ორგანული დამბინძურებელი ნივთიერებების შესახებ; მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ პესტიციდების მავნებლობის მიხედვით კლასიფიკაციას.
 - viii ოზონის დამრღვევი ნივთიერებები: ქიმიური კომპონენტები, რომელიც რეაქციაში შედის და ამცირებს სტრატოსფერულ ოზონს, რაც იწვევს ე.წ. “ოზონის ხვრელებს”. მონრეალის პროტოკოლში მოცემულია ამ სახის ნივთიერებები და მათი

შემცირების, ასევე თანდათანობით აკადღვის თარიღები. ქიმიკატების ჩამონათვალი გულისხმობს აეროზოლს, გამაგრილებელ ნივთიერებებს, გამსხნელებს, ქაფის გამომცემ ნივთიერებებს, ხანძარსაწინააღმდეგო ნივთიერებებს და ასევე მათი თანდათანობით აკადღვის თარიღებს ხელმომწერ ქვეყნებში. შეიძლება მიიღოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან, ან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან.

- ⁱx მასში შედის: ტანკერები, რომელთაც არ გააჩნიათ MARPOL SOLAS სერტიფიკატები (მათ შორის, და არა მარტო, ვერ აკმაყოფილებენ უსაფრთხოების მართვის საერთაშორისო კოდექსს); ტანკერები, რომლებიც შესულია ევროკავშირის შავ სიაში, ან აკრძალულია პორტებზე სახელმწიფო კონტროლის თაობაზე პარიზის მემორანდუმის საფუძველზე), ასევე ტანკერები, რომელთა გამოყენება იზღუდება MARPO-ის ^{13G} და ^{13H} დირექტივებით. 25 წელზე მეტი სიღველის ტანკერის გამოყენება დაუშვებელია.
- ^x ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტაციას წარმოადგენს დაცულ ტერიტორიებზე ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირის სახელმძღვანელო პრინციპები
- ^{xi} ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტაციას წარმოადგენს: 2006 წლის 14 ივნისის აქტი (ევროკავშირი) №1013/2006 ნარჩენების გადაზიდვის თაობაზე; ეკონომიური თანამშრომლობისა და განვითარების საბჭოს საბოლოო დადგენილება C(2001)107⁷, ნავთობმოპოვებისათვის განკუთვნილი ნარჩენების საზღვრებში გადაზიდვების კონტროლის შესახებ დადგენილების C(92)39⁹ შეცვლის თაობაზე; 1989 წლის 22 მარტის ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების საზღვრებში გადაზიდვებისა და განადგურების კონტროლის შესახებ.